ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 10080/01
11/10/2019

10080-01-2-201910111737

შპს "ქვიშა ბათუმის" დირექტორს

ბატონ მეჰმედ ქუთანოღლის

მის: ქ. ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის ქ. N 94, ბ. 39

ბატონო მეჰმედ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 1 ოქტომბრის №13903 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის № 3-ში, ე.წ სამრეწველო ზონის ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- წარმოდგენილი საკადასტრო მონაცემები არასწორია და ვერ ხერხდება ტერიტორიის იდენტიფიცირება. ამასთან წარმოდგენილი GPS კოორდინატების მიხედვით იდენტიფიცირებული და სკრინინგის განცხადებაში განხილული ინფორმაცია უახლოესი დასახლებული პუნქტის შესახებ არ შეესაბამება ერთმანეთს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების ტექნოლოგიური ციკლის, მათ შორის გადამუშავების მეთოდის და გადამამუშავებელი დანადგარების აღწერა;
- კარიერიდან სასარგებლო წიაღისეულის შემოტანის შესახებ ინფორმაცია (სატრანსპორტო საშუალებების, მარშუტების მითითებით);
- სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები;
- სამრეწველო ზონის გათვალისწინებით, კუმულაციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე გთხოვთ, ერთი თვის

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენა სამინისტროში შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაციით, რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე